AW2 ანალიტიკური წერა

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – გადაწყვეტილების დასაბუთება

დავალებაში მოცემულია გადასაწყვეტი საკითხი, მისი გადაჭის ორი შესაძლო გზა და ორი პირობა. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთი შესაძლებლობის სასარგებლოდ მოცემული პირობების გათვალისწინებით. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

გარემოს დაცვის ორგანიზაციამ, „მწვანე დედამიწამ“, დააარსა გამომცემლობა და პირველი წიგნი უნდა გამოსცეს. მას აქვს ორი შესაძლებლობა:

(1) გამოსცეს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სტატიების კრებული, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ჟურნალისტს. ჟურნალისტი ხშირად მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; მისი სტატიები ეკოლოგიური პრობლემების შესახებ პირად გამოცდილებასა და დაკვირვებებს ეფუძნება. სტატიები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მკითხველებში და ყოველთვის იპყრობს მედიის ყურადღებას, რადგან ჟურნალისტი ახერხებს რთული სამეცნიერო პრობლემები გასაგებად და საინტერესოდ მიაწოდოს საზოგადოებას. მიუხედავად მისი დიდი გამოცდილებისა და საყურადღებო ნაშრომებისა, „მწვანე დედამიწის“ სარედაქციო კოლეგიას მაინც აფიქრებს ჟურნალისტის სტატიების სამეცნიერო ღირებულება. ამჟამად ჟურნალისტი თავისი ახალი სტატიისათვის იკვლევს ტროპიკულ ტყეებში სამკურნალო მცენარეთა გადაშენების პრობლემას.

(2) გამოსცეს მრავალი სამეცნიერო გამოკვლევის ავტორის, ცნობილი პროფესორის მონოგრაფია. წიგნი, რომლის ავტორიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს სამეცნიერო წრეებში, სავარაუდოდ, დიდ ინტერესს გამოიწვევს საზოგადოებაში, რადგან მასში წარმოდგენილია გარემოს დაცვის ფართომასშტაბიანი სამოქმედო გეგმა. „მწვანე დედამიწის“ სარედაქციო კოლეგიას აფიქრებს ცნობილი მეცნიერის ნაშრომის სპეციფიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიუხვე და აკადემიური სტილი. პროფესორი, ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებით, აპირებს საჯარო ლექციების წაკითხვას სხვადასხვა დაწესებულებებში და ამ ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლის გადაცემას, შეწირულობის სახით, გამომცემლობისათვის.

თქვენი აზრით, რომელი წიგნი უნდა გამოსცეს „მწვანე დედამიწამ“?

გაითვალისწინეთ შემდეგი ორი პირობა:

- „მწვანე დედამიწას“ სურს მოიპოვოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების გამომცემლის რეპუტაცია.
- „მწვანე დედამიწას“ სურს წიგნის გაყიდვით მიღებული შემოსავლით განამტკიცოს თავისი ფინანსური მდგომარეობა.

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის განსამტკიცებლად.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსთვის

დავალება II – მსჯელობის ანალიზი

N ქალაქში მუსიკის მოყვარულთა კლუბი გაიხსნა. კლიენტების ინტერესთა გათვალისწინების მიზნით, ახალი კლუბის მფლობელებმა ჩაატარეს გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ ქალაქის მაცხოვრებლები უპირატესობას ჯაზურ მუსიკას ანიჭებენ. მეორე მხრივ, ქალაქის ყველაზე რეიტინგული რადიოარხის მუსიკალური პროგრამების ანალიზის შედეგად მათ გაარკვიეს, რომ არხი, ძირითადად, თანამედროვე საესტრადო მუსიკას გადმოსცემს, ხოლო ჯაზს მხოლოდ ღამის საათებს უთმობს.

საბოლოოდ, კლუბის მფლობელებმა გადაწყვიტეს, გაეთვალისწინებინათ პოპულარული რადიოარხის მუსიკალური რეპერტუარის სპეციფიკა; მათ მიიჩნიეს, რომ კლიენტთა მისაზიდად უმჯობესია, ახლად გახსნილ კლუბში თანამედროვე საესტრადო მელოდიები შესრულდეს.

შეაფასეთ, რამდენად მართებულია კლუბის მფლობელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება და პრობლემის გადაჭრის გზა. განსაზღვრეთ, რამდენად დამაჯერებელი და საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსთვის